სოციოლოგიური კვლევა ეხება საქართველოს დემოკრატიის მდგომარეობას, სწავლობს მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო უწყებების მიმართ და განწყობას პოლიტიკური პარტიების, კორუფციის, სოციალური სამართლიანობის, რელიგიური გაერთიანებებისა და სხვა საკითხების შესახებ.

2018 წლის 16-27 ნოემბერში თბილისსა და რეგიონებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოიკითხა. რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კიშის ცხრილის გამოყენებით შეირჩნენ. გამოკითხვის პროცესში ფორმულირებული შეკითხვების მეშვეობით პირველად მოხდა მოსახლეობის განწყობის კვლევა რიგი საკითხების შესახებ, რაც მანამდე უცნობი და სრულიად ახალი ინფორმაციაა მოსახლეობის განწყობის შესახებ ზოგიერთ თემაზე.
საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC), ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA (ინთერნეშენალ აიდია) ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

მოსახლეობის გამოკითხვის დღეს წარმოდგენილი შედეგები საქართველოს დემოკრატიის მდგომარეობის შეფასების დიდი კვლევის ნაწილია, რომელიც 2019 წლის გაზაფხულის ბოლოს გამოქვეყნდება. ამ გამოკითხვის გარდა, საქართველოს დემოკრატიის მდგომარეობა შეფასება დაეყრდნობა წინასწარ განსაზღვრული კითხვარის და 10-მდე ფოკუს ჯგუფის შედეგებს და სხვა წყაროებს. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მართლმსაჯულება, მოქალაქეობა, სამოქალაქო და სოციალური უფლებები, მედია, პოლიტიკური პარტიები, მთავრობისა და პარლამენტის მუშაობა.

IDEA-ს დემოკრატიის მდგომარეობის შეფასების ანგარიში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს მომზადებული; საქართველოში კი ასეთი ანგარიში პირველად მზადდება. ამ ანგარიშზე 15-მდე ავტორი გამოცდილი ექსპერტი მუშაობს.

კორუფცია

საქართველოს მოსახლეობის 68,8% მიიჩნევს, რომ თანამდებობის პირები ძალაუფლებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით იყენებენ.

მოსახლეობის 58,6% სჯერა, რომ თანამდებობის პირები თანხის სანაცვლოდ მფარველობენ ბიზნესს. კითხვაზე - *შეუშლის თუ არა ხელს დიდი ბიზნესის წარმატებას მისი მფლობელის მიერ ოპოზიციური პარტიის დაფინანსება* - მოსახლეობას ასე პასუხობს:

ძალიან შეუშლის - 26,4%
მეტნაკლებად შეუშლის - 36%
არცთუ ისე შეუშლის - 10,2%
საერთოდ არ შეუშლის - 5,6%
არ ვიცი/უარი პასუხზე - 21,8%.

საქართველოს მოსახლეობის 77,2% მიიჩნევს, რომ მთავრობის წევრებს საკუთარი ბიზნესი აქვთ. ამასთან, მთავრობის წევრის მიერ თანამდებობის პარალელურად ბიზნესის ფლობას მოსახლეობის 68,5% დიდ ან არცთუ ისე დიდ პრობლემად მიიჩნევს.

კითხვაზე - *დასაქმების ვის უფრო მაღალი შანსი აქვს: კანდიდატს შესაბამისი უნარებით თუ მინისტრის ნათესავს ნაკლები უნარებით* - მოსახლოების 68,8 პროცენტი პასუხობს, რომ მაღალჩინოსნის ნათესავს.







განათლება

საქართველოს მოსახლეობის 80,1% მიიჩნევს, რომ კარგი განათლების მისაღებად კარგი ფინანსური მდგომარეობა აუცილებელია. დაახლოებით იგივე რაოდენობა (78,8%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ კარგი განათლების მისაღებად საჭიროა ნიჭი.

საქართველოს მოსახლეობის 31,6% ამბობს, რომ მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 36,8% ამბობს, რომ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური სრული საშუალო განათლებაა.
გამოკითხვის შედეგები ასევე აჩვენებს რეგიონულ უთანასწორობას უმაღლესი განათლების მხრივ: საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 24% ამბობს, რომ უმაღლესი განათლების დიპლომს ფლობს მაშინ, როცა იგივე კითხვაზე დადებითად თბილისის მოსახლეების 50,2% პასუხობს.
მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0,5% აქვს სამეცნიერო ხარისხი.
მოსახლეობის 58,9% სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში წარმატების მისაღწევად აუცილებელია კარგი განათლება. კითხვაზე - *დასაქმების ვის უფრო მაღალი შანსი აქვს: კანდიდატს შესაბამისი უნარებით თუ მინისტრის ნათესავს ნაკლები უნარებით* - მოსახლეების 68,8 პროცენტი პასუხობს, რომ მაღალჩინოსნის ნათესავს.



კვლევის ფარგლებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოკითხა; რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის შერჩევის პრინციპით, კიშის ცრილის გამოყენებით შეირჩნენ. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი 2,9%-ია, თუმცა თითეულ კითხვას ინდივიდუალური ცდომილების ზღვარი აქვს და, შესაძლოა, ის არ ემთხვეოდეს საშუალო ცდომილების ზღვარს. საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.
საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

ჯანდაცვა

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9%-ია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემით *ძალიან კმაყოფილი*, ხოლო მოსახლეობის 40,6% *უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო.*
საქართველოს მოსახლეობის 72% საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობს, ხოლო 11% კერძო დაზღვევა აქვს. გეოგრაფიულ ჭრილში, თბილისის მოსახლეობის 18,7%, ხოლო რეგიონების მაცხოვრებელთა 7,2% სარგებლობს კერძო დაზღვევით.
საქართველოს მოსახლეობის 48% კონსულტაციის მიღების მიზნით ოჯახის ექიმს მიმართავს, 26,3% - ვიწრო სპეციალიზაციის ექიმს, ხოლო 18,3% - აფთიაქს.
კითხვაზე - *საშუალოდ თვეში რამდენს ხარჯავს თქვენი ოჯახი მედიკამენტებზე* - პასუხები ასე გამოიყურება:



კმაყოფილება საქართველოს ჯანდაცვის სისტემით

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
q36_1 კმაყოფილება საქართველოს ჯანდაცვის სისტემით	-2 უარი პასუხზე	0.4%	0.2%	0.2%
	-1 არ ვიცი	8.3%	12.0%	10.9%
	1 ძალიან კმაყოფილი	7.7%	9.5%	9.0%
	2 უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო	35.6%	42.7%	40.6%
	3 უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი	26.5%	18.5%	20.8%
	4 სრულიად უკმაყოფილო	21.5%	17.2%	18.4%
Total		100.0%	100.0%	100.0%

ჯანმრთელობის რომელი დაზღვევით სარგებლობთ?

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
ჯანმრთელობის რომელი დაზღვევით სარგებლობთ?	-1 არ ვიცი	0.4%	4.0%	3.0%
	1 საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევა	71.0%	72.9%	72.3%
	2 კერძო დაზღვევა	18.7%	7.2%	10.5%
	3 ძირითადად საყოველთაო სახელმწიფო პროგრამის	1.5%	2.0%	1.8%
	4 არცერთი	8.5%	13.9%	12.3%
Total		100.0%	100.0%	100.0%

კონსულტაციის მიზნით ვის უფრო ხშირად მიმართავთ თერაპევტს, ვიწრო სპეციალისტს თუ აფთიაქს?

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
კონსულტაციის მიზნით ვის უფრო ხშირად მიმართავთ თერაპევტს, ვიწრო სპეციალისტს თუ აფთიაქს?	-2 უარი პასუხზე	1.0%	0.8%	0.8%
	-1 არ ვიცი	3.8%	7.7%	6.6%
	1 ოჯახის ექიმს	52.3%	46.2%	48.0%
	2 ვიწრო სპეციალისტს	23.5%	27.5%	26.3%
	3 აფთიაქს	19.4%	17.9%	18.3%
Total		100.0%	100.0%	100.0%

კვლევის ფარგლებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოკითხა; რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის შერჩევის პრინციპით, კიშის ცრილის გამოყენებით შეირჩნენ. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი 2,9%-ია, თუმცა თითეულ კითხვას ინდივიდუალური ცდომილების ზღვარი აქვს და, შესაძლოა, ის არ ემთხვეოდეს საშუალო ცდომილების ზღვარს. საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო

ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

შრომა

საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სამუშაო ადგილზე შრომის უფლების ყველაზე ხშირი დარღვევაა არასათანადო ანაზაღაურება (მოსახლეობის 71%), შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა (მოსახლეობის 64%) და სამუშაო საათების ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა (მოსახლეობის 57%).

საქართველოს მოსახლეობის 17,8% მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილზე ხდება სექსუალურ შევიწროება; თბილისში ასე მოსახლეობის 26,9% ფიქრობს, ხოლო რეგიონებში - 14%. საგულისხმოა, რომ ამ მოსაზრებას ეთანხმება ქალების 21,2%, ხოლო კაცების 13,7%.

კითხვაზე - *შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელია თუ არა, რომ სასამართლო დაგეხმარებათ* - მოსახლეობის 41,2% პასუხობს, რომ უფრო არ არის მოსალოდნელი; დადებითი მოლოდინი აქვს 38,5%-ს (არ ვიცი/უარი პასუხზე: 20,3%).

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3,4%-ია გაერთიანებული პროფესიულ კავშირში. პროფკავშირის წევრობის მაჩვენებელი თითქმის იდენტურია როგორც თბილისისა და რეგიონების, ისე ქალებისა და კაცების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ 18-34 წლის ახალგაზრდები უფრო ნაკლებად არიან პროფკავშირის წევრები (0.4%), ვიდრე 35-54 წლის ადამიანები (5.8%).

კითხვაზე - *ისურვებდით თუ არა, გახდეთ პროფკავშირის წევრი* - საქართველოს მოსახლეობის 6,8% დადებითად პასუხობს. უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები უფრო ხშირად გამოთქვამენ ასეთ მზადყოფნას (10,4%), ვიდრე საშუალო ან უფრო დაბალი საფეხურის განათლების მქონე ადამიანები (4.9%).



კვლევის ფარგლებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოკითხა; რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის შერჩევის პრინციპით, კიშის ცრილის გამოყენებით

შეირჩნენ. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი 2,9%-ია, თუმცა თითეულ კითხვას ინდივიდუალური ცდომილების ზღვარი აქვს და, შესაძლოა, ის არ ემთხვეოდეს საშუალო ცდომილების ზღვარს. საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.
საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

პოლიტიკური პარტიები
საქართველოს მოსახლეობის 55,2% მიიჩნევს, რომ საქართველოში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც მისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს მოაგვარებს.
საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 10%-ია პოლიტიკური პარტიების საქმიანობით სრულად კმაყოფილი, ხოლო 46,3% უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო.
ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 66%-ს არასდროს წაუკითხავს პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამა. კითხვაზე - *ხმის მიცემისას, უფრო მნიშვნელოვანია პარტიის საარჩევნო პროგრამა თუ ლიდერების ვინაობა* - მოსახლეობის 38,5% პირველს ასახელებს, ხოლო 45,8% მეორეს.
კითხვაზე - *რა კრიტერიუმით ირჩევენ პარტიები, ვინ წამოაყენონ კანდიდატად საპარლამენტო არჩევნებზე* - მოსახლეობა ასე პასუხობს:

არ ვიცი/უარი პასუხზე: 20,8%
პროფესიონალიზმით: 24,1%
საზოგადოებაში ცნობადობით: 17,1%
პატიოსნებით: 6,6%
პირადი კავშირების პარტიის ლიდერებთან: 18,7%
ფულით: 12,4%
სხვა: 0,3%.

მოსახლეობის 60,7% მიიჩნევს, რომ არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს. მოსახლეობის 17% მოუწონებდა ქალიშვილს, პოლიტიკაში წასულიყო.
საქართველოს მოსახლეობის 52% სრულად ეთანხმება, ხოლო 35% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პოლიტიკაში ადამიანები საკუთარი კეთილდღეობისთვის მიდიან.





ხმის მიცემისას უფრო მნიშვნელოვანია პარტიის საარჩევნო პროგრამა თუ ლიდერების ვინაობა?

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
ხმის მიცემისას უფრო მნიშვნელოვანია პარტიის საარჩევნო პროგრამა თუ ლიდერების ვინაობა?	-2 უარი პასუხზე	3.1%	2.5%	2.6%
	-1 არ ვიცი	8.5%	14.9%	13.0%
	1 პარტიის საარჩევნო პროგრამა	38.4%	38.5%	38.5%
	2 პარტიის ლიდერები	50.0%	44.1%	45.8%
Total		100.0%	100.0%	100.0%

რა კრიტერიუმებით ირჩევენ პარტიები, ვინ წამოაყენონ კანდიდატებად საპარლამენტო არჩევნებზე?

	სტრატა	Total

		1 თბილისი	2 რეგიონები	
რა კრიტერიუმებით ირჩევენ პარტიები,ვინ წამოაყენონ კანდიდატებად საპარლამენტო არჩევნებზე?	-2 უარი პასუხზე	0.6%	0.7%	0.7%
	-1 არ ვიცი	18.4%	20.8%	20.1%
	1 პროფესიონალიზმით	14.5%	28.1%	24.1%
	2 საზოგადოებაში ცნობადობით	18.6%	16.5%	17.1%
	3 პატიოსნებით	5.6%	7.1%	6.6%
	4 პირადი კავშირებით პარტიის ლიდერებთან	24.4%	16.4%	18.7%
	5 ფულით	17.2%	10.5%	12.4%
	6 სხვა	0.8%	0.1%	0.3%
Total		100.0%	100.0%	100.0%

არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს	-2 უარი პასუხზე	0.4%	0.4%	0.4%
	-1 არ ვიცი	5.8%	8.2%	7.5%
	1 სრულად ვეთანხმები	22.8%	31.0%	28.6%
	2 ვეთანხმები	30.8%	32.6%	32.1%
	3 არ ვეთანხმები	26.9%	15.4%	18.7%
	4 საერთოდ არ ვეთანხმები	13.3%	12.5%	12.7%
Total		100.0%	100.0%	100.0%



არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
არჩევნებში კაცს გამარჯვების უფრო მაღალი შანსი აქვს, ვიდრე ქალს	-2 უარი პასუხზე	0.4%	0.4%	0.4%
	-1 არ ვიცი	5.8%	8.2%	7.5%
	1 სრულად ვეთანხმები	22.8%	31.0%	28.6%
	2 ვეთანხმები	30.8%	32.6%	32.1%
	3 არ ვეთანხმები	26.9%	15.4%	18.7%
	4 საერთოდ არ ვეთანხმები	13.3%	12.5%	12.7%
Total		100.0%	100.0%	100.0%

კვლევის ფარგლებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოკითხა; რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის შერჩევის პრინციპით, კიშის ცრილის გამოყენებით შეირჩნენ. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი 2,9%-ია, თუმცა თითეულ კითხვას ინდივიდუალური ცდომილების ზღვარი აქვს და, შესაძლოა, ის არ ემთხვეოდეს საშუალო ცდომილების ზღვარს. საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა კავკასიის კვლევითი

რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

რელიგია

კითხვაზე - *რომელი რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს* - საქართველოს მოსახლეობის 82,5% პასუხობს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის 93,4%, ხოლო საქართველოს რეგიონების მოსახლეობის 78% მიაკუთვნებს თავს ამ რელიგიას.

მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ, ყველაზე მეტი აღმსარებელი სომხურ სამოციქულო ეკლესიას (მოსახლეობის 5,9%) და სუნიტურ ისლამს (მოსახლეობის 3,4%) ჰყავს.

რელიგიურ მსახურებას კვირაში ერთხელ მოსახლეობის 11,7%, ხოლო თვეში ერთხელ - 17,9% ესწრება. მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულების დროს, რელიგიურ მსახურებას მოსახლეობის 26,7% სტუმრობს.

გამოკითხვის ფარგლებში, დაისვა კითხვები, თუ როგორ ხსნიან მოქალაქეები საკუთარ რელიგიურობას. მოსახლეობის 78% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ეკლესია უსმენს ჩემნაირ ადამიანებს“; მოსახლეობის 77,3% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ეკლესიაში ვხვდები ჩემნაირ ადამიანებს“; მოსახლეობის 79,6% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ეკლესიაში დაცულად ვგრძნობ თავს“; მოსახლეობის 69,3% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ეკლესია გასაჭირის დროს გვერდით მიდგას“; მოსახლეობის 71,2% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ჩემ გარშემო ყველა მორწმუნეა“; მოსახლეობის 58,3% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ჩემ გარშემო ყველა ეკლესიაში დადის“; მოსახლეობის 76% ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ „მუდმივად ცვალებად გარემოში ეკლესია ერთადერთი უცვლელი და მყარი დასაყრდენია“.

განსხვავებული ნდობის მაჩვენებელი აქვთ საპატრიარქოსა და საკუთრივ პატრიარქს. რამდენად ენდობით:

	უარი პასუხზე	არ ვიცი	სრულად ვენდობი	ძირითადად ვენდობი	ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ არა	ძირითადად არ ვენდობი	საერთოდ არ ვენდობი	სულ
პატრიარქს	0,8%	3,8%	66,3%	16,8%	9,4%	1,1%	1,8%	100%
საპატრიარქოს	1,2%	6,4%	27,7%	24,4%	29,1%	6,5%	4,7%	100%

რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს?

	სტრატა	Total

		1 თბილისი	2 რეგიონები	
რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს?	-5 არცერთს	0.8%	0.7%	0.7%
	-2 უარი პასუხზე			0.0%
	-1 არ ვიცი		0.1%	0.1%
	1 სომხურ სამოციქულო ეკლესიას	1.7%	7.6%	5.9%
	2 კათოლიკურ ეკლესიას	0.2%	2.7%	2.0%
	3 მართლმადიდებელ ეკლესიას	93.4%	78.0%	82.5%
	4 პროტესტანტულ ეკლესიას		0.2%	0.1%
	5 სხვა ქრისტიანულ აღმსარებლობას ან სექტას	0.2%	0.3%	0.3%
	6 სუნიტურ ისლამს		4.8%	3.4%
	7 შიიტურ ისლამს	1.7%	2.1%	2.0%
	8 იუდაიზმს	1.7%	1.4%	1.5%
	9 სხვას		0.2%	0.1%
	10 სხვა	0.2%	2.0%	1.5%
Total		100.0%	100.0%	100.0%

განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?

		სტრატა		Total
		1 თბილისი	2 რეგიონები	
განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, რამდენად ხშირად	-2 უარი პასუხზე	0.2%	0.2%	0.2%
	-1 არ ვიცი	0.4%	1.8%	1.4%
	1 ყოველდღე	0.2%	0.8%	0.6%

ესწრებით რელიგიურ მსახურებას?	2 უფრო ხშირად, ვიდრე კვირაში ერთხელ	7.6%	3.0%	4.3%
	3 კვირაში ერთხელ	13.7%	10.9%	11.7%
	4 თვეში ერთხელ მაინც	20.4%	16.8%	17.9%
	5 მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებ	22.7%	28.3%	26.7%
	6 უფრო იშვიათად	28.4%	27.8%	28.0%
	7 არასდროს	6.3%	10.5%	9.3%
Total		100.0%	100.0%	100.0%

კვლევის ფარგლებში 1786 რესპონდენტი (599 თბილისში, 1187 რეგიონებში) გამოკითხა; რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის შერჩევის პრინციპით, კიშის ცრილის გამოყენებით შეირჩნენ. გამოკითხვის საშუალო ცდომილების ზღვარი 2,9%-ია, თუმცა თითეულ კითხვას ინდივიდუალური ცდომილების ზღვარი აქვს და, შესაძლოა, ის არ ემთხვეოდეს საშუალო ცდომილების ზღვარს. საველე სამუშაოები 2018 წლის 16-27 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ, ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA ერთობლივი პროექტის ფარგლებში.